

**ბანაბა ნაწილთა აღმოჩენებისა  
ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა  
სერგი რადონეჟელსა**

**ილუმენისა და**

**აღმაშენებელისა სამებისა ლავრისა**

ნაწილთა აღმოყვანება: ხს. 5 (18) ივლისი

**დიდ მწუხრსა ზედა**

ვკვალობთ ნეტარ-არს კაცსა, I აღსავალსა.

**უფალო ღაღად-ვყავსა ზედა დასდებელი,**

მუხლი 8. კმა 5.

**ღირსისა სერგისა.**

ისარებს დღეს ბრწყინვალედ, ღირსო მამაო, ეკლესიაჲ ქრისტესი განბრწყინებული ნაწილთა შენთა მიერ, მ, ცხორება შემოსილო სერგი, და სარწმუნოებით ქებით დღესასწაულობს მორწმუნეთა კრებული, ნაწილთა შენთა აღმოყვანებასა, და კმადლობს ღმერთსა მომცემელსა შენ მიერ დიდსა წყალობასა.

სამარადისოთა წყაროთაგან და მოუკლებელთა სულისა წმიდისათა აღმოვიყვანებ, ღმერთშემოსილო, უხუად მადლნი კურნებათანი და აღსასრული ცხორებისა მის შენისაჲ პატიოსანი იქმნა, წინაშე ქრისტეს მუფისა და აწ აღმოყვანებაჲ ნაწილთა შენთაჲ დიდებულ და განთქმულ იქმნა ყოველთა კაცთა შორის, სერგი.

სამკაულად სამეფოდ ნაწილნი შენნი შეიწყნარა დღეს, ღირსო მამაო სერგი, სავანემან შენმან, რომელთა მიერ შეიმკუების და ბრწყინვალედ იქადის და ყოველსა სოფელსა აზიარებს სიხარულსა და მადლთა შენთა სიმდიდრესა განუყოფს და დაღაღებს: იესუ ყოვლად ძლიერო, დიდებაჲ წყალობათა შენთა.

ვითარცა სიმართლისა მზს ბრწყინავს შენ შორის ქრისტე ღმერთი და აღმოყვანებასა ნაწილთა შენთასა უფროჲს ცნობისა განანათლებს, ამისთვის გიღაღადებთ: ბრწყინვალეო ნათელი და ელვარეო ნათლისა ანგელოზო, მეოხ გუყავ ცხორებად და განათლებად სულთა ჩუენთა.

მხიარულ იქმნა საიდუმლოდ დიდებული ეკლესიაჲ აღმოხუძასა ნაწილთა შენთასა, მამაო, რომელი იგი დაჰმარხნა, ვითარცა თუალნი მრავალსაყიდლისანი და მგალობელთა შენთა დაუწყვედელად მოჰმადლებს მეოხებითა შენითა მადლთა კურნებასა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

აწ განსცხრებოდეთ მონაზონებისა მოყუარენო, და ქებითა გალობისათა ვუგალობდეთ და შევასხმიდეთ მღვდელთა სიქადულსა და რუსეთისა დიდებასა, გლახაკთა გამოზრდელსა და მდიდართა შვეულიერად განმგესა, კურთხესა მდგომარეთასა და დაცემულთა აღმადგინებელსა, სიტყუთა მკურნალსა სულიერთა ვნებათასა, სიმტკიცესა და ძალსა დაღონებულთასა, ცხორებისა კეთილსა მმართველსა და ნაყოფითა უნაყოფოთა სულთა განმამდიდრებელსა, და სწავლითა აღმავსებელსა, და აღმოყვანებასა ნაწილთა მისთა პატიოსანთასა ყოველნი ვაქებდეთ და წმიდასა ღარნაკსა ძუალთა მისთასა ვადიდებდეთ, რათა მეოხებითა მისითა მომცეს ქრისტემან ღმერთმან დღეს დიდი წყალობაჲ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უჟამოდ მამისაგან გამოზრდინდა, ძმ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოჲსა გამოვიდა გამოუთქმელად კორცშესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთვის კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკუეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევნელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათვის სულთა ჩუენთასა.

**შესვლად. წარდგომა დღისა**

**საწინაწარმეტყველონი; საკითხავი ღირსისა.**

1. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალთა სულნი ხელთა შინა ღმრთისათა...)
2. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალნი საუკუნოდ ცხოვნდეს. და უფლისა მიერ...)

წერილ-არს, მარტის 9-ს.

3. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი (მართალი თუ აღესრულოს განსუენე...) წერილ- არს მაისის 7-ს.

**ლიტსა ზედა დასდებელი ტაძრისა,**

**ესრეთ ღირსისა სერგისი. თვთ-კმოვანი.**

**კმა 2**

ქუეყანასა ზედა ანგელოზო და ცათა შინა კაცო ღმრთისაო, სოფლისა კეთილად განმამშვენებელი და სიტკბოებითა სახიერო, მამაო სერგი, გაქებთ შენ, რომელი გამოსჩნდი, მთავრად მონაზონთა და ქალაქმყოფელ უქმთა უდაბნოთა და ჰკურნებ უძღურებისა ჩუენისა ვნებასა სარწმუნოებით მგალობელთა შენთასა: გიხაროდენ, ჩრდილოეთისა ვარსკულავო ყოვლადბრწყინვალეო, და მონაზონთა განმანათლებელი ლამპარო და მწყემსო, გიხაროდენ, კეთილმოქმედებითა მმარხველთა სიქადულო და რუსთა ქუეყანისა სახარულევანო ბრწყინვალეობაო, მეოხ-გუეყავ მგალობელთა შენთა.

დაუტევე, წმიდაო, სოფელი და აღიდე ჯუარი, რომლისა მიერ მოქადულ-იყავ შენ, სამ-გზის სანატრელო მამაო სერგი, და წინამძღურებითა სულისა წმიდისაათა და წინააღმდეგარ უწყებითა ღმრთისაათა წარმართენ სღვანი შენი სანახებსა რადონეჟისასა და აღმართენ უდაბნოსა შინა მონასტერი და ეკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, საცხოვრებელად სულთა და საყუდებელად მრავალთა, ხოლო მას შინა შეკრებულნი ძმანი სიმდაბლითა თვისითა მიიწინეს საზომსა დიდსა, და განასხმიდენ სულთა უკეთურთა და განჰკურნებდენ ყოველთა სნეულთა და კეთილქებისა გალობითა გიგალობდენ, ვითარცა მწყემსსა დიდსა და ქადაგსა სარწმუნოებისასა.

მსგავსად მზისა განბრწყინდეს ძალნი იგი სასწაულთანი, ღირსო მამაო სერგი, შენ მიერ აღსრულებულნი უდაბნოსა შინა, საღმრთოჲსა მიერ მადლისა: ჰირუტყვნი ვითარცა სიტყვური გმორჩილებდეს და მკეცნი შერისხვთ წარიდევნებოდეს, ხოლო კაცნი განკურნებულნი შენ მიერ აღიდედეს ღმერთსა.

ნაწილნი შენნი წმიდანი მოეცნეს ეკლესიასა შენსა, ყოვლად ბრძენო, ღმერთშემოსილო სერგი, ღუაწლთა მიერ განბრწყინებულნი და გამოსურვებულნი, აღმოსლვისა შენისა დღესა-სწაულსა გუექმნა ჩუენ მომატყუებელად და მხიარულებითა და ნათლითა სულიერითა აღავსნეს, მკურვალედ მაქებლნი შენნი.

დაღაცათუ აღმაღლდი კორცთაგან ღმრთისა სასურველისა შენისა, არამედ არაჲვე დაუტევენი ობლად შულნი და მოსურნენი შენნი. რამეთუ მოგუმაღლე ჩუენ კურთხევაჲ პატიოსანთა ნაწილთა შენთაჲ, რომელთა აღმოყუანებასა ვდღესასწაულობთ და გევედრებით: ზიარ მყუენ სიხარულისა და ბრწყინვალეებისა შენისა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

დაღაცათუ აღმაღლდი კორცთაგან ღმრთისა სასურველისა შენისა, არამედ არაჲვე დაუტევენი ობლად მოწაფენი და მოსურნენი შენნი, მამაო სერგი, რამეთუ მოჰმადლე ყოვლად ქებული ნაწილნი შენნი საღმრთონი ეკლესიასა ნათლად და გურგუნად მადლთა და თაყუანისვსცემთ მათ, რომელნი სიგრძესა ჟამთასა დაკრძალულ იყუნეს ლავრასა შენსა, გარნა გამოაცხადნენ საკურველითა ჩუენებითა მაოტებელად სულთა ბოროტთა, რომელთა აღმოყუანებასა წლითი-წლად ვდღესასწაულობთ და გევედრებით: ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ წინაშე ყოვლადმოწყალისა მეუფისა, მამობრძისა მადლსა და შეწევნასა შენსა მარადის შევრდომილნი მოგუკსენენ წინაშე მისა და ერი ჩუენი განსაცდელთაგან და ჭირთაგან შეცული იქსენ ოხითა შენითა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

გიხაროდენ, ქალწულო, ღრუბელი და ეტლო სიტყვსაო, გიხაროდენ, უზესთაეს გონებისა და გარეგან საზღუარისა, წმიდაო ღმრთისა საყოფელო, გიხაროდენ, უქორწინებელი სულითა ზესთა ღმერთთასა მიდგომილო, გიხაროდენ, თვნიერ თესლისა მშობელო, და თვნიერ ხრწნილებისა მაწოვნებელი, გიხაროდენ, მარადის ქალწულო, კურთხეული.

**სტიქარონსა ზედა დასდებელი. კმა 8**

განშორებულსა უდაბნოსა დაემკვდრე და სული შენი უბიწოდ დაიცევე, ნეტარო სერგი, და სამებისა წმიდისა გამსჩნდი და აღაშენენ ტაძარი სადიდებელად მისდა და აღმართენ ლავრაჲ დიდებული საცხოვრებელად კრებულისა მონაზონთაჲსა, რომელსა შინა მდებარე არს წმიდანი ნაწილნი შენნი და მარადის იქების ქსენებაჲ შენი, ღირსო, და ჩუენცა მათთანა გიხმობთ შენ, ყოვლად ნეტარო, დაგუფარენ ჩუენ ბოროტაგან და დასცენ მტერნი ჩუენნი უხილავნი და ხილულნი.

**მშხლი. პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.**

მოვედით მოყუარენო უდაბნომსანო, და ტრფიალნო საღმრთოსა ცხორებისანო, მოვედით შევაძკობდეთ ღირსსა მამასა სერგი რადონეველსა, ვინაჲცა ეშმაკთა სიცბილი კადნიერებითა ახოვნებითა მოაკუდინა, და წიაღვლო რაჲ უფსკრული საცთურისაჲ, მიიწია საღმრთოსა ნავთსადგურსა, და აწ ნათლითა საკურველებათაჲთა კეთილად განაბრწყინებებს ნაწილთა თვისთა.

**მშხლი. ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად.**

სიმღიდრედ სულიერად და საუნჯედ საღმრთოდ გუპყრის ჩუენ სამარტჯლოჲ შენი, რომელსა შინა დაუნჯებულ არიან ნაწილნი შენნი, სერგი დიდებულო, ძალო და სიქადულო მონაზონთაო, ქრისტესა ღმერთსა ევედრე, რაჲთა მოსცეს ყოველთა მართლმადიდებელთა ერთა მშუდობაჲ, და სულნი ჩუენნი იკსნნეს სატანჯუელთაგან, რამეთუ მოწყალე არს და კაცთ-მოყუარს.

**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

იხარებს აწ მხარს რადონევისაჲ და უფროჲს განსცხრების ლავრაჲ წმიდისა სამებისაჲ შენ შორის დამკვდრებისათჳს, რამეთუ მარადის ირწყებოდა ცრემლთა მიერ შენთა, ღმერთშემოსილო სერგი, ხოლო აწ ძუალნი შენნი მდებარე არს მის შორის და მღიდრად აღმოაცენებს კურნებასა სულთა და ჯორცთასა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი ბუცლად-ილე გამოუთქმელად, დედაო ღმრთისა მაღლისაო, ვედრებაჲ მონათა შენთაჲ შეიწირე, ყოვლადუბიწოო, რომელი მისცემ ყოველთა შენდობასა ცოდვათასა, ჩუენიცა ვედრებაჲ შეიწირე და გუთხოვე ჩუენ დიდი წყალობაჲ.

**ტროპარი, კჲაჲ 1**

სათნობითა ილუაწე, ვითარცა ქრისტსს მკედარმან კეთილადმძლემან და შეურაცხ-ყავ ყოველივე ამაოებაჲ სოფლისაჲ, არამედ ლოცვითა და მღუძარებითა სახე ექმენ მოწაფეთა შენთა, და გამოსჩნდი კანონად მონაზონთა და ბრწყინვალე მნათობად ყოვლისა სოფლისა, აწ გევედრებით, ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა, შეუძრველად დაიცევ ყოველი მართლმადიდებელი ერი, ღირსო მამაო სერგი, მოხარული კსენებასა შენსა განათლებულსა.

**ტროპარი, კჲაჲ 1**

უდაბნოსა მოქალაქედ და ჯორცითა ანგელოზად და სასწაულთმოქმედად გამოსჩნდი, ღმერთშემოსილო მამაო სერგი, მარხვისა, მღუძარებისა და ლოცვისა მაღლი ზეცით მიილე და ჰკურნებ უძღურთა სენთა და სულთა, რომელნი სარწმუნოებით შენდა მოილტჳან, დიდებაჲ, რომელმან მოგცა შენ ძალი, დიდებაჲ, რომელმან გვრგვინოსან გყო შენ, დიდებაჲ, რომელი იქმს შენ მიერ ყოველთა ზედა სასწაულთა.

**ცისკრად. ღმერთი უფალსა ზედა**

**ტროპარი ღირსისა. დიდებაჲ... იგივე აწდა...**

რომელი საუკუნითგან დაფარულ-იყო, და ანგელოზთაგან უცნაურ საიდუმლო, ღმრთისმშობელო, შენ მიერ კაცთა გამოეცხადა, ღმერთი შეურევენელად შენგან განკორციელდა, ჯუარცმაჲ ნებსით თავს ილუა, რომლისათჳსცა აღადგინა პირველდაძინებულნი, და იქსნა მან სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი.

**შემდგომად I ფსალმუნებისა, წარდგომა. კჲაჲ 1**

ცხორებაჲ კეთილმსახურებით ქუეყანასა ზედა აღასრულე, და გამოჩნდი კანონად მონაზონთა და ბრწყინვალე მნათობად ყოვლისა სოფლისა, ღმერთშემოსილო მამაო, და განანათლებ შენდამი მსწრაფლ მოლტოლუვლთა, წმიდაო სერგი, აწცა გამოაბრწყინვე გულსა ჩუენსა ნათელი ჭეშმარიტი და მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად.

**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

განეცხადების საიდუმლოჲ საუკუნითგან დაფარული მთავარანგელოზს, მითხრობად ძრწოლით ქალწულისა მიმართ, ხოლო იგი ახარებს კურთხეულსა დედათა შორის, რომლისა-თანა ვკმობდეთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.

**შემდგომად II ფსალმუნებისა, წარდგომა. კჲაჲ 4**

ნათლითა ჰბრწყინავ შენ მიუახლებელითა, და ვითარცა ვარსკულავი გამობრწყინდი უდაბნოსა შინა რადონევისასა და განამრავლენ სამწყსოჲ ქრისტსსი, ღირსო მამაო, ხოლო ნაწილთა შენთა პატივისმცემელთა კსნაჲ გუთხოვე შეცოდებათა, ვითარცა წინაშე ღმრთისა მღგომარემან.

**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ყოველთა შემოქმედი ღმერთი და დაბადებელი, ყოვლადუბიწო, წმიდაო, საღმრთოდას სულისა მიერ მუცლად იღე და უხრწნელად ჰშევ, რომლისათვისცა გადიდებთ შენ და გიგალობთ, ქალწულო, ვითარცა ყოველთა მეუფისა პალატსა და სოფლისა შემწესა.

#### **შემდგომად სადიდებელისა წარდგომა. კმა 8**

მსგავსად იოვანე ნათლისმცემელისა უდაბნოა დაიმკვდრე, ღირსო, და უპოვარებითა სცხოვრებოდი, რამეთუ ყოვლადვე არა გაქუნდა, ნეტარო, კორცთა საზრდელი, არამედ იზრდებოდი სულისა მიერ წმიდისა, ვინაჲცა ბაძვად შენდა ადაღვინენ სულნი ურიცხუნი და შემოკრიბენ სადიდებელად ღმრთისა და სამადლობელად სიმკნეთა შენთა. რადონეჟისა უდაბნოდასა დიდებო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა ცოდვათა შენდობაჲ მოგუანიჭოს, რომელნი სურვილით ვლდექსასწაულობთ პატიოსანთა ნაწილთა შენთა აღმოყუანებასა.

**დიდებაჲ მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.**

თანა დაუსაბამოა სიტყუაჲ მამისაჲ, შენგან მიიღებს დასაბამსა ბუნებისა ჩუენისასა, ღმრთისმშობელო, და უჟამო შემოვალს ჟამსა შინა და სიტყუაჲ განზრქებოდის, ხოლო ძმ ღმრთისაჲ ძედ შენდა იწოდების. ეჰა, მიუწვთომელი ესე საიდუმლოა, იესუ ქრისტე გუშინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე.

#### **აღსავალი, ანტიფონი 1. კმა 4**

სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძვანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთვის გევედრები: შემწე-მეყავ და მიქსენ სახიერ.

რომელთა გბულთ სიონი, სირცხულეულ-იქმნენით უფლისა მიერ, და ვითარცა განკმული თივაჲ შეგჭამნესთ გეენიამან.

**დიდებაჲ მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.**

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცხოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლდების და განპბრწყინდების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

#### **წარდგომაჲ, კმა 7**

**პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.**

**მშხლი. რაჲ მივაგო უფალსა ყოვლისავეთვის, რომელი ესე მომაგო მე.**

ყოველი სული... სახარება ლუკასი, თავი 6. მუხლი 17. (მას ჟამსა შინა, დასდგა იესუ...) დასასრული მუხლი 23. (მრავალ არს ცათა შინა...)

**შემდგომად 50-ე ფსალმუნისა დასდებელი.**

თუთ-კმოვანი. კმა 6.

ქრისტს მქსნელისა სიყუარულითა აღეტყინე და ცხორებისა უოხჭნოდას აღისწრაფე და შეხუედ საღმრთოდ განსასუენებელად, ხოლო დღეს ნაწილნი შენნი მოგუანიჭენ ზღუდედ და სიმტკიცედ, მათებელად სულთა ბოროტთა და განდევნელად ყოველთა საღმრთობათა.

#### **კანონი ღმრთისმშობლისა. მუხლი 6**

**სექტემბრის 28-ს იძიე**

#### **კანონი ღირსისა, მუხლი 8. კმა 1**

#### **გალობა 1, უგალობდითსა**

**ძლისპირი:** სასწაულითა იქსნა ერი უფალმან და ზღუაჲ მღელვარძ სიტყუთ განაკმო პირველ, და დღეს უხრწნელად იშუა ქალწულისაგან და წარმიძღუა ჩუენ ზეცად ბუნებით სწორი მამისა თანა, რომელსა უგალობდეთ.

მდინარე მიჰრონისაჲ დღეს აღმოგვიცენდა ჩუენ და წყაროა სურნელებისაჲ და ღუარი საშუებელთაჲ მოგუფინა და უფსკრული მადლთაჲ – ყოვლად ქებული ნაწილნი შენნი საღმრთონი, ღმრთივეგონიერო სერგი.

ანგელოზთა შემოქმედმან, წინასწარ გიცნა შენ ნებისა მისისა გულსმოდგინე აღმსრულებლად, და დედის წიაღსა შინა ყოფნისასა, შენ მიერ სამგზისი შეძახილით ამცნო ყოველსა ქუეყანასა, რამეთუ იქნებოდი ჭეშმარიტი მსახური სამებისა.

დასაბამი სიბრძნისაჲ მოიგე, დასაბამსავე სიყრმისა შენისასა, ღირსო მამაო, და შიშსა უფლისასა შემსჭვალენ შენ კორცნი, წმიდაო სერგი, და მიერ აღიწიე სიყუარულსა მას უშიშსა წმიდათასა და მადლითა ღმრთისაჲთა განპბრწყინდი.

ბრწყინვალესა აღმოყუანებასა ნაწილთა შენთასა დღესასწაულობს დღეს ყოველი მართლამადიდებელი და ლავრაჲ შენი, რომელი იგი შეჰვედრე ყოვლადწმიდასა დედასა ღმრთისასა.

საუნჯს, პირველ დაფარული წიაღთა ქუეყანისადათა, გამოსჩნდა და სოფელი აღავსო სიმდიდრითა ნიჭთადათა, და ეკლესიაჲ განამდიდრა მადლთა სურნელებითა, დიდმან წინამძღუარმან რუსთა ქუეყანისამან.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

წყაროდ საღმრთოდ საკურველებათა გიცნობთ შენ და კურნებასა სენთასა უხუებით მოვიღებთ, რომელნი სარწმუნოებითა თაყუანის-ვსცემთ ნაწილთა შენთა ყოვლად პატიოსანთა, ყოვლად ქებულო სერგი.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

სული ჩემი დაცემული მრავალთა საღმრთობათაგან, ზ, ღმრთისმშობელო ყოვლადდიდებულო, განჰკურნე, რაათა მადლობისა კმითა წადიერებით გადიდებდე შენ, მარადის.

### **გალობა 3, განძლიერდასა**

**ძღისპირი:** ღმერთო, მოხედენ მონათა გალობასა და დაამდაბლე სიმაღლს მაცთურისაჲ და ზესთა აღამალლე დღეს ეკლესიაჲ, და შეუშფოთებელად დაამტკიცენი მოსაგნი შენნი მართლმადიდებლობასა.

იხილა მხედველმან გონებათამან ღმერთმან წინაღსწარვე სიწმიდს სულისა შენისაჲ, ღირსო, ამისთჳსცა ნათელ-გარდაფენილ-ყო გონებაჲ შენი და აღგავსო სიბრძნითა მით საღმრთოთა და მეტყველებაჲ დაფარულთა საიდუმლოთაჲ მოგანიჭა.

ვითარცა მღვდელმან საღმრთომან ბრწყინვალედ შეიმოსე სამღვდლოჲ სამოსელი სიმართლისაჲ და მადლისაჲ, ამისთჳს იშუებს ნაწილთა შენთა აღმოყუანებასა ეკლესიაჲ, რომელი შეამკე მოლუაწებითა შენითა საღმრთოთა.

მარხვითა კორცნი შეზღუდენ, სანატრელო, და ვნებათა აღძრვანი მოაკუდინენ ღოცვითა და მღვიძარებითა, რომლისათჳსცა სულისა წმიდისა ძალმან დაიმკვდრა შენ თანა და მნათობად ცისკიდეთა გამოგაჩინა.

ანგელოზთა თანა აღასრულე ჟამის წირვაჲ ქუეყანასა ზედა და ანგელოზთა თანა პატივ-გცა შენ ქრისტემან, სერგი დიდებულო, და მოციქულთა და წმიდათა თანა აღგრაცხა.

ყოვლად წმიდანი ნაწილნი შენნი, ღირსო მამაო სერგი, მნათობნი სოფლისანი დღეს მოემადღნეს ეკლესიასა ნათლად და ბრწყინვალედ და გვრგვანად მადლთა და სიმდიდრედ და უგალობს მათ წადიერებით.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

რტო ნაყოფიერი იქმენ შენ, ღმერთმემოსილო, აღმოცენებულ ძირთაგან ღმრთისმსახურთა, და-რაჲ-ენერგე თანა წარსადინელსა საღმრთოთა წერილთასა, და გამოიღე ნაყოფად ტკბილად გულის-კმის-ყოფაჲ მათი.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

წინაღსწარ გიხილა შენ, ბჭედ ნათლისად ეხეკიელ, რომელი განვლო მეუფემან, ვითარცა უწყის, ქალწულო უხრწნელო, ამისთჳს გევედრები მე, განმიხუენ სინანულისა ბჭენი მიმყვანებელნი სასუფეველად.

### **წარდგომაჲ**

განაბრწყინვე ჟამნი შენნი, სანატრელო, უღაბნოსა შინა ძლიერად მოლუაწებითა, რომლითა მიეახლე ბრწყინვალეებასა საღმრთოსა, ღმერთმემოსილო მამაო სერგი, და მოტევებაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ ურიცხუთაჲ ქრისტს მთავრად გვთხოვე ნაწილთა შენთა აღმოყუანებისა მელღესასწაულეთა.

### **გალობა 4, უფალო მესმასა**

**ძღისპირი:** პირველ აუწყა წინაღსწარმეტყუელებით ცხორებაჲ კაცთა ამბაკუმ და იტყოდა: რისხვასა შინა მოვიკსენი წყალობაჲ, ჩრდილოთ მალნართათ მო-რაჲ-ხუელ შენ, მაცხოარ, ერისა ამის სიტყუაჲ დამბადებელი.

არა დაჰფარნა ღმერთმა შრომანი შენნი, არამედ ნიშთა და სასწაულთა მიერ განჰსთქუა ბრწყინვალეებაჲ მოლუაწებათა შენთაჲ, და ყოველთა შორის საწადელ-ყო სიტყუაჲ და ხილვაჲ შენი, ღმრთივსანატრელო, მამაო სერგი.

გიხილა რაჲ თანამწირველი ანგელოზისაჲ საკურთხეველსა შინა მოწაფემან შენმან, მაშინ გაქსნა დაღუმებული ბაგს იგი, ღირსო მამაო, და განმადიდებელსა შენსა კმა-მალლად აღიღებდა.

იქმენ, ნეტარო, მიმსგავსებული ღმრთისაჲ, მამაჲ ობოლთაჲ და საზრდელი მშვიერთაჲ, სამოსელი შიშველთაჲ და უღონოთაჲ, და მკურნალ სენთა სნეულებისაჲ, მამაო სერგი.

შენ საჭურველად სიმკნისა და მოთმინებისა, მამაო, უპყრიე ქრისტეს სამწყსოთა და შენ მიერ ლუაწლთა მიმართ განძლიერდების, ხოლო ნაწილნი შენნი, მოგუენიჭნეს წყლულებათა ჩუენთა საკურნებელად და შენ ცათა შინა სულითა მარადის ჰნათობ წინაშე ღმრთისა.

ბნელითა ცოდვისადათა დაფარულთა სულთა ნათელ-უცთომელ ექმენ, და გულის-თქმათა ნისლსა აოტებდი მათგან ნათლითა, და თავს-მდებ და დამგებელ ღმრთისა მიმართ იქმენ შენ, და აღმასუბუქებელ სიმძიმესა შრომათასა.

**დიდება მამასა და ძისა და წმიდასა სულსა.**

ლამპრად ბრწყინვალედ მყოფთათუს სოფლისათა გამოგაბრწყინვა ნათელმან მამისამან, და ელვარება სათნობათა შენთა მიჰფინე ცისკიდეთა, ვითარცა მისისა შარავანდელი, ღირსო მამაო სერგი, ამისთუს კეთილ ჯერ-იჩინა ყოვლად წმიდათა მათ ნაწილთა შენთა დღეს საყდრად თუსად დადება.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ქალწულმან ჰშევ და დედობრივ არა განიხრწენ, არამედ დედა იქმენ, და ქალწულადვე ჰგიე, რომლისათუსცა გიგალობთ, გიხაროდენ, ღმრთისმშობელო.

### **გალობა 5, ღამითგანსა**

**ძლისპირი:** საცთურთა ბნელთა ღამისათა შენდობად მოხვედი შენ, ქრისტე, ამსთობილნი შევსწირავთ შენდა გალობასა, ვითარცა ღირს-ხარ, რაათა წარმიძღუენ გზასა მშუღობისასა, შესულად სასუფეველსა, რომელ აღმითქუ ჩუენ.

ვითარცა ვარსკულავი გამოჰბრწყინდი უდაბნოსა შინა რადონეჟისასა და რომელნი სარწმუნოებითა მოივლტიან შენდა მსწრაფლ შეეწევი მათ, ამისთუსცა გნატრით შენ, და ვითარცა მკურვალესა შუამდგომელსა გალობით გადიდებთ.

წყარო სულისა წმიდისა გულსა შინა შენსა მოიგე, საიდუმლო სიბრძნისა და მადლისა სიმდიდრითა აღვსებულმან, ზ, სამ-გზის სანატრელო მამაო, პატივისმცემელნი შენნი იკსენ ჭირთა და განსაცდელთაგან.

სამწყსოსა, რომელი გერწმუნა, მშუდითა და მდაბალითა სულითა დამწყსიდი, წმიდაო მამაო სერგი, და ქრისტეს მსგავსად წარმავალსა სიმდიდრესა ყოველთა ასწავებდი განბნევად, ნეტარო, რაათა განუყონ გლახაკთა უხუებით, ბრძენო, და განაძღონ მუცელნი ნაკლულეკანთანი.

ჩუეულებისა თუსისაებრ აღევზნა ეშმაკი წყობად შენდა, ღირსო, არამედ განათლებულმან ბრწყინვალეებითა მადლთა სულიერითა, ვითარცა სუეტმან ცეცხლისამან, განაჰენ განსაცდელთა ზღუანი, ნეტარო სერგი, და აღასრულე სრბად შენი.

უფალმან, ძალითა ძლიერმან, მოგცა სერგი ძალი სულთა ზედა ბოროტთა და განასხემდი მათგან, რომელთაცა სტანჯვიდეს, განთავისუფლდებოდეს და კმითა მადლობისადათა ადიდებდეს ძალსა ქრისტესსა.

**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

ვითარცა შეუძრველად დაიცევ მტერთა კუეთებითა შერყეული ქუეყანად შენი, ღირსო მამაო სერგი, ეგრეთვე აწ იკსენ ყოველი მართლმადიდებელი ერი, მაქებელი შენი და მეოხებისა შენისა მიმართ სასოებითა მინდობილი.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.**

წმიდა-ყო ღმერთმა საშოე შენი ყოვლადწმიდად, სძალო, სიწმიდით რაა დაემკვდრა მას შინა, და ჯუარსა ზედა ამაღლებულმან დაბადებულნი აღამაღლნა მისთანა.

### **გალობა 6, ღალადყავსა**

**ძლისპირი:** შთახდა იონა სიღრმესა მას ზღვსასა და ღალადებდა ღმრთისა მიმართ ვედრებით: აღმომიყვანე დანთქმისაგან, უფალო, ხოლო მე, ქრისტე, შენდა მიმართ ვღალადებ: უგულეებელს-ჰყავ ბრალთა ჩემთა სიმრავლს.

ცხორება კეთილმსახურებითა ქუეყანასა ზედა აღასრულე, და გამოჩნდი კანონად მონაზონთა და ბრწყინვალე მნათობად ყოვლისა სოფლისა, ღმერთშემოსილო მამაო, და განანათლებ შენდამი მსწრაფლ მოლტოლვილთა.

დიდო მეუღაბნოეო, რადონეჟისა დიდებულთა უდაბნოთაო, აწცა ნუ დაიდუმებ მოლუაწებასა ჩუენთუს ქრისტეს მიმართ, რამეთუ ყოვლადვე ძალგიმს შეწვენად ყოველთადა, რომელნი ლოცვათა შენთა ესუენ და მეოხებასა შენსა მოივლტიან.

ანგელოზთა თანა იხარებ და ღირსთა თანა იშუებ და ღუაწლისა დამდებელისა ღმრთისა დიდებასა უბრწყინვალესად განიცდი, ღირსო მამაო სერგი, აწ ჩუენთჳს ოხად ნუ დააცადებ და გუთხოვე მადლი, კურთხევა და წყალობაჲ.

სიგრძესა ჟამთასა დაკრძალულ იყუნეს ყოვლად უბიწონი ნაწილნი შენნი, ჳ, ყოვლად ქებულო სერგი, ხოლო დღეს გამოაცხადნე საკურველითა ჩუენებითა მოტებელად სულთა ბოროტთა. აწცა გამოაბრწყინვე გულსა ჩუენსა ნათელი ჳემმარიტი და მეოხ-გუეყავ ნაწილთა შენთა პატივისმცემელთა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

გესმა რაჲ გოდებაჲ მამისაჲ და იხილე ყრმაჲ მისი, მომკუდარი სენისაგან, შეგეწყალნეს საწყალობელი იგი და ტირილითა შევრდომილი შენდა, მსგავსად ქრისტესსა, და ილოცე მკურვალედ წინაშე მისა, მაშინ ისმინა უფსკრულმან წყალობისამან და აღადგინა ყრმაჲ იგი და მოჳმადლა ცხორებაჲ.

**აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.**

ახლად ყრმად გჳშეგ ჩვენ უწინარესი საუკუნეთა უჟამოდ, მამისა თანა მოსაყდრე, ღმრთისმშობელო, რომელმან ჯუარისა მიერ ცოდუთა დაძუელებული კაცნი განაახლნა და ღმრთიებასა იზიარნა.

### **კონდაკი**

ჩუენებათა მიერ ზეგარდამოთა, ვითარცა მზს ბრწყინვალს აღმოგზბრწყინვე სამარხოთ საუნჯს პატიოსანი – წმიდანი ნაწილნი შენნი, სიმიდრს უსასყიდლოდ დაუღვენელი და ოქროდ ღმრთიგზბრწყინვალს და სიხარულითა საღმრთოთა ადავსე ქუეყანაჲ შენი და ყოველი მართლმადიდებელი ერი, ხოლო ნაწილთა შენთა წმიდაჲ ლუსკუმაჲ, ვითარცა წყაროდ დაუწყვედელი, აღმოაცენებს მადლთა სურნელებასა და კურნებასა მიჳმადლებს პატივისმცემელთა მისთა. ნუ დამივიწყებ ჩუენ, მადიდებელთა შენთა, მამაო, მოგჳსენენი წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა და გუთხოვე მშუღობაჲ, რაჲთა ვკმობდეთ: გიხაროდენ, ღმრთიგვანბრძნობილო მამაო სერგი!

### **გალობა 7, კურთხეულარსა**

**ძლისპირი:** სიყუარულითა ყოველთა მქსნელისაჲთა არად შეჳრაცხეს ყრმათა რისხვაჲ მძლავრისა ღმრთის მოძულისაჲ, და ცეცხლსა შეთხეულნი არა შეიწუნეს და ესრტთ ღაღადებდეს: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

ადიდა ღმერთმან წმიდაჲ ქსენებაჲ შენი, და უფროდსლა ღარნაკი პატიოსანთა ძუალთა შენთა, რამეთუ მდღელ-მთავართა და მთავართა მიერ ღირსად პატივით თაყუანის-იცემების, მგალობელთა: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

ძირი ბოროტთა მოჳკუეეთე ცულითა სიტყუათა შენთაჲთა და დაჳნერგე სულთა შინა საღმრთოდ სიბრძნს, ღირსო სერგი, ამისთჳსცა განბრწყინვებულთა ნაწილთა შენთა აღმოხუმასა ქებით ვადიდებთ და უფალსა უღაღადებთ: „მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ“.

ეშმაკთა გუნდნი აღსჳრენ, ღმერთშემოსილო, ვითარცა ახოვანმან მკედარმან მაცხოვრისამან შრომათა მახულითა, და დასწუენ ცეცხლებრ ბანაკნი მათნი საკუმილითა ლოცუათა შენთაჲთა: „მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ“.

ნაწილთა შენთა ძლიერებაჲ ეშმაკთა იოტებს, რამეთუ ვერშემძლებლნი მოხილვად ძლიერებისა, განივლტიან და დაინთქუმიან, ხოლო ჩუენ სიყუარულითა თაყუანისვსცემთ და ამბორსუყოფთ მას და უფალსა უღაღადებთ: „მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ“.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

წყაროდ საღმრთოდ საკურველებათა გიცნობთ შენ და კურნებასა სენთასა უხუებით მოვიღებთ, რომელნი სარწმუნოებითა ნაწილთა შენთა შეგეხებით და სულითა და კორციითა განვმრთელდებით.

**აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.**

მადლსა ლოცვისა შენისასა, წმიდაო, ვიქადებთ პირითა და სულითა, დიდებულო, რამეთუ შენ მიერ განსაცდელთაგან და ღელვათა, და მძიმეთა ურვათა, და ცოდვისა ვნებათაგან ვიქსნებით ყოველნი.

### **გალობა 8, აკურთხევდითსა**

**ძლისპირი:** ყრმანი ბაბილონს შეუწველნი პირველად სახე გექმნეს შენ, ქალწულო დიდებულო, რაჟამს შენგან იშუა ცეცხლი ღმრთიებისაჲ და დაგიცვა შენ უენებელად, უბიწოდ, ყოველი ერი მარადის გაკურთხევს შენ.

დამკსნელ გრძნებათაჲ გამოხრნი, მამაო, ვითარცა დიდი მოციქული პეტრე სასწაულითა წმიდისა ჯუარისათა, და სირცხვილეულ-ჰყვენ ყოველნი მტერნი ღმრთისანი და ღმრთივეგონიერთაგან იდიდე.

დედისა ღმრთისა ცოცხლებრ მავალისა და იოანსსა და პეტრსს თანა სხეულებრივ მქცევისა მხილველად, გამოირჩიე უხრწნელისა კიდობნისა მისგან ღმრთივეშემწყნარებელისა, მრავალთა შორის მამათასა, სერგი, ღმრთივრჩეულო, ნუ დასცხრები, ღირსო, ვედრებად შემსხმელთა შენტათს.

შესწირე ვედრებაჲ ჩუენი დედასა ღმრთისასა წინაშე ქრისტსსა, თანაშეწვევითა ზეცისა მხედრობათაჲთა და პეტრსს და იოვანსს მოციქულთაჲთა, სანატრელო მამაო სერგი, სოფლისათვის მშუდობაჲ ითხოვე და სულთა ჩუენთათს დიდი წყალობაჲ.

ღელვათა განსაცდელთასა დააცხრობს ნაწილთა შენტა ძლიერებაჲ, ღირსო და ღმერთშემოსილო სერგი, და ქადაგებს კადნიერებასა შენსა დიდებულსა, რომელი გაქუს ღმრთისა მიმართ.

არაჲ მაქვს სიტყვაჲ ღირსი სათნოებათა შენტა ბრწყინვალეთა შემკობად, სანატრელო, არამედ შემნლობელ მექმენ უღირსსა ამას და შეიწირე კინი და უძლური გალობაჲ და ნაცვლად მაღლი შენი მომეც, ღირსო მამაო სერგი.

**ვაკურთხევთ მამასა და ძესა და წმიდასა, სულსა უფალსა.**

შემოკრბა-რაჲ გუნდი მოწაფეთა შენტა მიცვალებასა შენსა, სანატრელო, სიხარულითა აღივსე ხილვითა მათითა, და აკურთხე ყოველი, და სარწმუნოდ და ცხადად ასწავე გალობაჲ ესრეთ: აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფალსა და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

იქსენ კაცობრივი ბუნებაჲ წყევისაგან შობითა შენითა, ქალწულო უბიწო, რამეთუ შეგ მხოლო კურთხეული, მაკურთხეველი ჩუენი, აღმავსებელი მაღლითა ცათა და ქუეყანისა.

**ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე.**

### **გალობა 9, აღიღებდითსა**

**ძლისპირი:** ჯერ-არს ღუმილი, ვინაჲთგან ვერ შეუძლებთ ღირსებით ქებად შენდა დღეს, ღმრთისმშობელო, ხოლო არავე დავღუმნეთ შიშისათს, არამედ მსგავსად უძლურებისა ჩუენისა, შევსწიროთ შესკმაჲ, რომლითა გადიდოთ შენ.

სიმტკიცე და სიქაღულ ეკლესიათა გამოხრნი შენ, ღმრთივგანბრძობილო სერგი, საკურველებათაჲთა ნაწილთა შენტა მიერ საღმრთოთა მარადის განამტკიცებ გონებასა მორწმუნეთასა.

ჰსუფევ რაჲ წინაშე ქრისტსსა ელვითა სულისათა განათლებული და დიდთა მათ ღუაწლთა შენტა სიმტკიცითა შემკული, მოგუხედე მაღლით, ღმერთშემოსილო მამაო სერგი, და დააცხრე აღძრვანი უხილავთა და ხილულთა ვნებათაჲ, და გარე წარგუხადე განსაცდელნი და ეშმაკთა კვეთებანი.

იოტებიან ეშმაკთა სიმრავლენი, სერგი ყოვლად ნეტარო, ძუალთა შენტაგან ყოვლად-პატიოსანთა, ვინაჲცა მათ მიერ ფრიად ვნებულმან სამარხოსა შენსა სარწმუნოებითა შეეხო რაჲ, მყის პოვა თავისუფლებაჲ.

სარკედ ბრწყინვალედ აღწერით დაგვიტევა, „ცხორებაჲ“ შენი მოწაფემან შენმან ეპიფანე ყოვლადბრძენმან და შთამხედველ გუყვნა ელვარებასა შენსა, რომლისა-იგი ზიარ იყო სულითა და მობაძავი შენდა სათნოებითა, სანატრელო სერგი.

ვერ შემძლებელ-არს ენაჲ კაცობრივი მითხრობად ღუაწლთა შენტა, ჰ, წმიდაო, სათნოო ღმრთისაო, რამეთუ განვლე სოფელი ესე ღირსად, მამაო საკურველო, და აწ შუებასა სამოთხისასა შეერთებული, ანგელოზთა თანა იხარებ, და ჰსუფევ ქრისტსს თანა უკუნისამდე.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

ითხოვე, ღირსო, ყოვლისა სოფლისათს მშუდობით დაცვაჲ და საზეპუროსა ერსა ჩუენსა – ძლევაჲ და დამტკიცებაჲ მართლმადიდებლობისაჲ ქრისტსს ღმრთისაგან, და სულთა ჩუენთა უხუად დიდი წყალობაჲ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

იტურთავ უკვე მტურთველსა ყოველთასა წმიდათა მიერ კელთა შენტა, რომელსა ევედრე, წმიდაო, უცხოდასაგან ბოროტის მოქმედებისა უვნებელად ცხორებად ჩუენდა.



### **განმანათლებელი**

აპა, წყაროდ მადლისა და ნიშთა სიმრავლისა, დაუწყვედელი მდიდრად, სამარტულოდ ძუალთა შენტად გუაქუს მორწმუნეთა ზღუდელ სიმტკიცისად, საუნჯედ მადლისად და ეშმაკთა მოტებელად, ამისთვის იხარებენ დღეს მონაზონთა გუნდნი და განსცხრებიან მამათა დასნი დღესასწაულსა შენსა და ქადაგებენ კეთილთა შენტა მადლსა და შესწირვენ უფალსა ქებასა.

#### **დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

დღესასწაულობს აწ წმიდა ეკლესია, ნეტარო, ნაწილთა შენტა აღმკუქმასა და დაღაღებს შენდა მომართ: მოგუხედენ, ჰ, მამაო სანატრელო, ზეცით-გარდამო და გუქსნენ სოფლისა ღელვათაგან დაუნთქმელად.

#### **აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ღმრთისმშობლად ჭემარიტად აღვიარებთ შენ, დედოფალო, შენ მიერ ცხოვნებულნი, რამეთუ ღმერთი ჰმეგ გამოუთქმელად დამქსნელ ჯუარითა სიკუდილისა და თვსდა მიმართ მიმზიდველი ღირსთა კრებულისა, რომლისა თანა გაქებთ შენ, ქალწულო.

### **აქებდითსა ზედა დასდებელი. მუხლი 4. კმა 8**

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერგი, შენ უღელი ქრისტუსი აღიღე ქელსა ზედა, და ახოვნებითა ზედა დასხმანი მტერთანი შეჰმუსრენ და უდაბნონი ქალაქად გამოაჩინენ, ამისთვის განატრით შენ და სარწმუნოებითა გილაღადებთ: ჰ, მშუენიერო რადონეჟისა დიდებაო, შენ ქრისტემან მკვდრ-გყო უსხეულოთა თანა, მეოხ-გუეყავ ჩუენ.

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერგი, აწ დაქსნენ წყუდიადი ბრალთა და ვნებათა და მადლი და წყალობა მოეც მოყურეთა შენტა და ცხორებად საუკუნოდ წარუმართე მეოხებითა შენტა პატივისმცემელთა შენტა და წმიდათა ნაწილთა შენტა სურვილით თაყუანისმცემელთა.

სარწმუნოებითა შემოკრებულნი მორწმუნენი, ვითარცა ილუმენსა დიდსა პატივს-გცემთ შენ, ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერგი, და სარწმუნოებითა გევედრებით: ჰ, წმიდასა ანტონს მიმსგავსებულო მეუდაბნოეო, რომელი სიხარულითა განხუედ უდაბნოდ უაღად, და მკეცთა-წილ დაამკვდრენ კაცნი ანგელოზთა სწორნი, მეოხ-გუეყავ წინაშე ღმრთისა, რაათა გუაცხოვნეს ჩუენ.

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერგი, გამოჩნდი შენ კანონ მონაზონთა და სიქაღულ მართლმადიდებელთა, დამატკობელ და ბრწყინვალე მნათობ სრულიად რუსეთისა და უძღურთა უგამოცდილეს და პატიოსან მკურნალ, რამეთუ არა შეშინდი შიშისაგან მაცთურისა მტერისა და მშულდნი და ისარნი ეშმაკთანი შემუსრენ და მძვნარენი საფრკენი მათნი მოაუძღურენ საღმრთოთათა ღუაწლითა შენითა. ჰ, ნიჭთა შენტა მოცემულთა, ნეტარო, რომლისა მიერ ბოროტთა ეშმაკთა არცხვინე და განაბრწყინვენ დიდება ქრისტუსი.

#### **დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

დავებოთ საყვირსა გალობათასა და განვსცხრებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა ყოვლადქებულისა მოძღურისა ჩუენისასა. შემოკრებით ჰ, მორწმუნენო და შესკითა სულიერითა შევამკობდეთ და ვაქებდეთ სანატრელსა მამასა ჩუენსა, ვითარცა სწავლისა მდინარეთა აღმომდენთა ჩუენდა და უგალობდეთ: უძღურნი – სენტა მკურნალსა, ხოლო ჭირვეულნი – მქსნელსა, შეცოდებულნი – მკურვალესა მეოხსა, მწუხარენი – განმაცხრობელსა და მავალნი – მოგზაურსა, მენავენი – მმართებელსა და ყოველნი ყოვლით კერძო, ყოველთავე სასოსა სარწმუნოებით ვადიდებდეთ და ვიტყოდეთ: მეოხ-გუეყავ, ღირსო მამაო სერგი, რაათა ლოცვათა შენტა მიერითა თხოვითა შეგვჭურნეს ჩუენ უფალმან ღმერთმან ძალითა თვისითა უძღვევლითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენტა ზედა და გუაცხოვნეს ჩუენ.

#### **აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

#### **ღმრთისმშობლისა, დემეტრე ქართველთა მეფისა, ბაგრატიონისა.**

ღმრთისმშობელი და ყოვლადპატიოსანი, დედა ქალწული, შუენიერი შრომანი, მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი, შენგან იშუების, მეფე გურგუნოსანი და მას ჰმონებენ მეფენი მრავალყმოსანი.

#### **დიდება მაღალი გრძლად და განტევება.**

**ლიტურჯიასა ზედა:** მომიკსენენი კანონისაგან ღირსისა, გალობა 3 და 6.

**წარღობა, კმა 7.** პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.

**მუხლი.** რად მივაგო უფალსა ყოვლისავეთუს, რომელი ესე მომაგო მე.

**სამოციქულო I კორინთელთა,** თავი 12, მუხლი 7. (ძმანო, თითოეულსა ჩუენსა...) დასასრული, მუხლი 12. (კაცად-კაცადსა ვითარცა ჰნებავს...)

**ალილუია, კმა 6.** ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა.

**მუხლი.** ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი.

**სახარება მათესი,** თავი 11, მუხლი 27. (ჰრქუა უფალმან თუსთა მოწაფეთა...) დასასრული, თავი 12, მუხლი 1. (ტურთი ჩემი სუბუქ-არს...)

**ბანიცადე:** საკსენებელად საუკუნოდ.